

ადრეული ინტერვენციის პროგრამაში ჩართული ბავშვის ბაღიდან სკოლაში
ტრანზიციის პროცესში მისი პროგრამიდან გასვლის, გაცილების ეტაპი დაგეგმვისა
და განხორციელების ორგანიზება

იამზე ნადირაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის -
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სპეციალური განათლების
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა ბარქაია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ცირა ბარქაიას იმ დახმარებისათვის, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს გამიწია. ცირა აქტიურად ჩაერთო კვლევის პროცესში, მასზე მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან. მისი მითითებები, რჩევები რეკომენდაციები მნიშვნელოვნად მეხმარებოდა და ამარტივებდა ჩემთვის კვლევაზე მუშაობას, ცირასთან ეტაპობრივი ონლაინ ჩართვები, უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით და მსჯელობა შემდგომში განსახილველ აქტივობებთან დაკავშირებით, მეხმარებოდა შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრასა და შესრულებაში. მადლობას ვუხდი ასევე ნატა მეფარიშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემი ნაშრომის დახვეწასა და სრულყოფაში. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადრეული ინტერვენციის სპეციალისტებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და სკოლის მასწავლებლებსაც, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობისათვის და საშუალება მომცეს სრულყოფილად გამეკლო კვლევის ყველა ეტაპი.

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოსაქვეყნებლად გამზადებულ, ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის გარკვეული პასაჟები გამოყენებულია სამაგისტრო სემინარის დავალების ფარგლებში.

29.01.2022

აბსტრაქტი

მსოფლიოში დღეს მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისათვის, თანასწორობისათვის სახელმწიფო და სოციალური პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის ბრძოლა, ყველა ფლანგზე. ამ ჯგუფების უფლებების ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ისე სახელმწიფო პროგრამებსა და თავად სოციუმის შესაბამის აქტიურობაზე.

დღეს ნებისმიერი განვითარებული, თუ განვითარებადი სახელმწიფო ცდილობს გაატაროს პოლიტიკა, რომელიც ინკლუზიურობას უწყობს ხელს ყველა მიმართულებით და აუმჯობესებს საზოგადოებრივ პროცესებში ნებისმიერი შესაძლებლობის, წარმომავლობისა, თუ სოციალური სტატუსის მქონე ადამიანის ჩართულობას.

დროთა განმავლობაში სულ უფრო იხვეწება და ვითარდება მიდგომები, რომლებითაც შეიძლება განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე ბავშვებისათვის უკეთესი განათლების მიწოდება და შემდგომში სოციუმში ინტეგრაცია, ეს ყველაფერი კი კვლევების, სახელმწიფოთა და შესაბამის ორგანიზაციათა შორის მუდმივი დიალოგისა და გამოცდილებათა გაზიარების დამსახურებაა.

მიუხედავად სურვილისა და მზადყოფნისა, რომ განვითარების ეტაპების დაყოვნების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მოხდეს შესაბამისი საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება, რეალურად ეს საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია, რომელიც შესაბამისი ტექნიკური, ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და მრავალი მხარის ჩართულობას საჭიროებს. მართალია სახელმწიფოები, ცალკეული ორგანიზაციები და განათლების სისტემები ცდილობენ შესაბამისი ინოვაციების დანერგვას და სიახლეების შემოტანას, რათა განვითარების ეტაპების დაყოვნების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მოხდეს საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება, თუმცა ისინი სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს არის. შესაბამისად, მისი შემდგომი გაუმჯობესება მეტი ძალისხმევის მიმართვა ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების შემუშავებისათვის ჯერჯერობით კვლავ აქტუალურია.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით აქტიური ცვლილებები მიმდინარეობს და ზოგადი ფონი საგრძნობლად

არის გაუმჯობესებული სისტემურ დონეზე, კოვიდ პანდემიამ სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მიმდინარე პროცესები და გარკვეულწილად შეუცვალა გეზი სფეროს განვითარებას, ამ მოვლენამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ოჯახისა და მშობლების ჩართულობა, რაც გააუმჯობესებს შინ სწავლების პრაქტიკას და დახვეწს გაიდლაინებს მშობლებისათვის. თუმცა, პანდემია და მისით გამოწვეული პერიოდული შეფერხებები მთლიანობაში, ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც ზოგადად განათლების სისტემაზე, ასე კონკრეტულად ადრეული ინტერვენციის პროგრამაზე, რომელიც განვითარების ეტაპების დაყოვნების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების განვითარების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზეა გათვლილი.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა განვითარების ეტაპების დაყოვნების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან ადრეული ინტერვენციის პროგრამაში და მიეკუთვნებიან იმ ასაკობრივ კატეგორიას, რომლის დროსაც მათ უკვე დაასრულეს ბალიდან სკოლაში ტრანზიცია და უწევთ ადრეული ინტერვენციის პროგრამიდან გასვლა. „ადრეული ინტერვენციის პროცესი მოიცავს დაბადებიდან სამ წლამდე და საჭიროების შემთხვევაში, შვიდ წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას, მომსახურების დაგეგმვასა და მიწოდებას“ (ბავშვთა ადრეული განვითარება, 2018). კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა გვაჩვენა, ის თუ როგორ მუშაობს საქართველოში ადრეული ინტერვენციის პროგრამა.

კვლევის პირველ ნაწილში ნაჩვენებია ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და შოტლანდიის მაგალითები ადრეული ინტერვენციის პროგრამის მუშაობის კუთხით. ეს ქვეყნები ჩართულნი იყვნენ პროგრამაში, რომელიც იკვლევდა პედაგოგიურ მიდგომებს საგანამანათლებლო სისტემებში მიმდინარე ტრანზიციის პროცესში. შესაბამისად, ამ ქვეყნების მაგალითების ანალიზის საფუძველზე მოპოვებულმა ინფორმაციამ კვლევის მომდევნო ნაწილის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მთლიანობაში, კვლევის ფარგლებში მიღწეულმა შედეგებმა და მიგნებებმა შესაძლოა საქართველოში ადრეული ინტერვენციის მიმართულებით დანერგილი პრაქტიკის შემდგომ განვითარებას შეუწყოს ხელი.

კვლევის მეორე ნაწილში ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას და შედეგებს, რომელიც განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლის

ადრეული ინტერვენციის პროგრამიდან გასვლის პროცესზე დაკვირვებამ მოგვცა. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ დ.მ 7 წლის და ლ.ხ, ასევე 7 წლის, ორივე ბავშვის დიაგნოზი არის R62.0 განვითარების ეტაპების დაყოვნება;

კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რას მოიცავს ადრეული ინტერვენციის პროგრამა განვითარების ეტაპების დაყოვნების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის. კერძოდ:

- რამდენად ეფექტურია ბავშვის ბალიდან სკოლაში ტრანზიციის ფინალურ ეტაპზე დასრულების/გაცილების პროცესის მიმდინარე პრაქტიკა საქართველოში;
- როგორია განვითარებული სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკა და რისი გაზიარება შეიძლება მათი გამოცდილებიდან;
- როგორია მიმდინარე პრაქტიკის ეფექტურობა და კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები 7 წლის ბენეფიციარის ადრეული ინტერვენციის პროგრამიდან გასვლის გაცილების ეტაპის დაგეგმვა-განხორციელებასთან მიმართებაში?

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე მოსწავლეთა განათლება, ადრეული ინტერვენციის პროგრამა, ტრანზიცია ბალიდან სკოლაში, ადრეული ინტერვენციიდან გასვლის, გაცილების ეტაპი.

Annotation

In the world today, the struggle for the rights of vulnerable groups, for equality, for equal access to state and social programs, generally is greatly enhanced. The improvement in the quality of life and well-being of the rights for these groups depends significantly on both international and local non-governmental organizations, as well as state programs and the relevant activities of the society itself.

Today, any developed or developing country pursues a policy that promotes inclusivity in all areas and improves the inclusion of people of all abilities, backgrounds, or social statuses in public processes.

Over time, new approaches are being developed that can provide better education for children with developmental delays and help them to further integrate into society, all thanks to ongoing dialogue and sharing of experiences between countries, states and relevant organizations.

Despite the desire and willingness to meet the relevant educational needs of children under the risk of developmental delays, it is a rather complex and complicated process that requires the involvement of relevant technical, financial, human resources and many stakeholders. States, individual organizations and education systems are indeed trying to introduce relevant innovations and strategies to meet the educational needs of children at risk of developmental delays, although they are still far from perfect. Consequently, it takes further improvement to make more efforts to develop new methods and strategies that are still relevant today.

Georgia has undergone active changes in the field of inclusive education in recent years and the general background is significantly improved at the systemic level. Practice and refine guidelines for parents. However, the pandemic and the periodic delays caused by it, in general, harm both the education system in general and the early intervention program in particular, which is designed to promote and support the development of children at risk of developmental delays.

In the present study, as the object of research, we have selected children at risk of developmental delays who are involved in the early intervention program and belong to the age group at which they have already completed the transition from kindergarten to school and have to leave the early intervention program.

In Georgia, the "early intervention process includes the assessment, planning and delivery of services for children with developmental disorders or, if necessary, children under the age of seven, if necessary." The analysis of the information obtained during the research showed how the early intervention program works in Georgia.

The first part of the study shows examples from Australia, New Zealand and Scotland in terms of early intervention program work. These countries were involved in a program that explored pedagogical approaches to the ongoing transition process in education systems. Consequently, the information obtained from the analysis of the examples of these countries contributed significantly to the formation of the next part of the study.

The report of the practice study conducted in the second part of the study includes the information and results provided by the observation of the exit process from the early intervention program of the student with developmental disabilities. Participating in the study were D.M. 7-year-olds and L.K., as well as 7-year-olds, both children being diagnosed with delayed R62.0 developmental stages;

The aim of the study was to find out what the early intervention program includes for children at risk of developmental delays. In particular:

- How effective is the current practice in the process of completing/leaving the kindergarten to school in the final stage of the transition in Georgia;
- What are the best practices of developed countries and what can be shared from their experience;
- What are the effectiveness of the current practice and the research recommendations regarding the planning and implementation of the 7-year beneficiary early intervention exit phase?

Keywords: inclusive education, education of students with developmental delays, early intervention program, the transition from kindergarten to school, early intervention, departure stage